№ 295 მთავრობის მოამგე

საქართველო
რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. კვირა, დეკემბრის 26 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი სველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ბე გ. 15 მან. სამწლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—20) 500 მ. განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. წისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიბრბი მეტი 30 % ოდე. ქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბაროთის ქ. № 6 ტელ. ფ. 1—1

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გაზეთ

„საქართველოს რესპუბლიკა“-ზე

გაზეთი წლიურად ელირება 500 მანეთი, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 20 მან. წასათ გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ზედმეტი რიცხვი არ დაიგეზდება.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერა.

კვირას, 26 დეკემბერს

„ტოსკა“

ორშაბათს, 27 დეკემბერს „ფრონტის დღე“, სამშაბათს, 28 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინის „კარნავალი“, ოთხშაბათს, 29 დეკემბერს „ფაუსტი“ დას. წყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 —1

ქუთაისის საშუალო სამეურნეო სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ მას ესაჭიროება ქუთაისის სასწავლებლის მამულში—აგამეთში მემინდვრეობის განყოფილებისათვის 1) მმართველი ჯამაგირით თვეში 7,800 მან., ბინა, გათბობა და განათება, 2) აღმზრდელი თვიური ჯამაგირით—6,825 მან., 3) სამი სპეციალური საგნების მასწავლებლები—მემინდვრეობის, მებაღეობის და მეაქონლეობის განყოფილებებისათვის თვიური ჯამაგირით—8190 მან., 4) ერთი ლაბორატორი თვიური ჯამაგირით—6825 მან. თანახმათ სასწავლებლის დებულებისა ბინა ან ბინის ქირა ჯამაგირის მეათედი მიეცემა ყველა მოსამსახურეებს. მასწავლებლობის და სამეურნეო ნაწილის (ფერმის) გამგის თანამდებობის მიღება შეუძლია უმაღლეს კურს დამთავრებულს, აღმზრდელათ—საშუალო სწავლით და ლაბორანტებათ სპეციალური საშუალო სწავლა მიღებულებსაც.

თხოვნები საბუთებით და მოკლე (curicullum-vitae) უნდა გამოიგზავნოს ქუთაისში სასწავლებლის კანცელარიაში იანვრის 15-დე.

სასწავლებლის პროგრამებისგაცნობა შეიძლება „საქართველოს რესპუბლიკაში“, № 246

სასწავლებლის დირექტორი ვლად. ხოფერია.

1032 4—2

ტფილისის მეორე საუთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, დეკემბრის 26 ს დღის 1 საათზე, ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე შესდგება ბ.ბ. წევრთა განმეორებითი

საზოგადო კრება

(პირველად არ შესდგა დეკემბრის 12-ს) კომიტეტის მოხსენების მოსასმენად ტფილისის მეორე საურთიერთო ნდობის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო სამრეწველო ბანკთ გადაკეთების შესახებ.

აღნიშნული საზოგადო კრება, როგორც განმეორებითი, წესდების 35 მუხლის თანახმად, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

4465 1—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს,

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ელექტრონის სადგურნი ვალდებულნი არიან გასცენ ენერგია თვითმართველობის საშუალებით.

იმ შემთხვევაში თუ აბონენტს თვითმთვლელი არა აქვს ანგარიში ხდება ელნათურებით.

ელექტრო სადგურის ადმინისტრაციას ეძლევა უფლება გადაახდევინოს აბონენტს მხოლოდ ნახევარი თვის ენერგიის ფასის რაოდენობა-ერთდროლული ავანსის სახით: ყოველგვარი მინიმუმი აკრძალულია. აბონენტის ელექტრონის ქსელთან შეერთებისათვის ადმინისტრაციას უფლება აქვს გადაახდევინოს მასალების და სამუშაოს ღირებულების გარდა 50 მან. ზემონახსენებ წესების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინიტრაცია გადაუხვევს თავისი მოქმედებაში აღნიშნულ წესებს გამგეობა მოუწოდებს მოქალაქეთ აცნობონ ასეთი შემთხვევები წერილობით განათების შესახებ ქალაქის ზედამხედველობას მისამართი: ტრამვაის პარკი, დილის 9 საათიდან 12 საათამდე. ტელ 4-07.

1047 3—1

ქალაქის გამგეობა.

სახელმწიფო ცენტრალური სამოქალაქო არქივი

აძით აცხადებს, რომ ჩუთშაბათს, დეკემბრის 30-ს, დილის 10 საათზე ოფიცერ სტრელკოვის ინტენდანტო სამმართველოს შენობაში (ნიკოლოზის ქუჩა № 51) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

განუმეორებლათ გაიყიდება:

1) 4000 ფუთამდე მოსახმობად გამზადებული არქივის საქმეების ქაღალდები.
2) მატერიის ყდები დაახლოვებით 10 000 ცალამდე.
3) წიგნების კარდონის ნაყდები დაახლოვებით 100 ფუთამდე.

ფუთი ქაღალდის შესყიდვა 600 მანეთიდან დაიწყება. მატერიის ყდის 20 მანეთიდან ცალი და ფუთი კარდონი კი 1.500 მანეთიდან.

იმ პირთ, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, უნდა წარმოადგინონ სათანადო განცხადება, ანაზღაურებული სახელმწიფო მარკებით, ცენტრალური არქივის დირექტორის სახელზე, შემდეგი მისამართით: სამხედრო საოლქო სასამართლოს ყოფილი შენობა ოლღას ქუჩა № 48. საჯარო ვაჭრობის დღეს კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

აუცილებლივ საჭიროა, რომ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მისაღებათ შემოტანილ იქმნას საწინდარი 10% შეფასების თანხის მიხედვით. თვით ქაღალდი გაიყიდება პერტრობით, არა ნაკლებ 100 ფუთისა. მატერიის ყდები ძხოლოდ ერთ პარტიად და კარდონი კი არა ნაკლებ 10 ფუთისა. გასასყიდი საქონლის დათვალიერება შეიძლება დეკემბრის 27, 28 და 29 ს საინტენდანტო სამმართველოს ყოფილ შენობაში დილის 10—12 საათამდინ.

4463 3—1

დაგეშუძნებელი ტფ. საკრედიტო სამრეწველო ბანკისა

გადაეთებული ტფ. მეორე საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდან

ამით აუწყებენ ბანკის აქციონერებს, რომ კვირას, დეკემბრის 26 ს დილის 11 საათზე ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ბინაზე შესდგება დასახალებულ ბანკის აქციონერთა დამფუძნებელი

საზოგადო კრება

განსახილველია საგნები: 1) დამფუძნებელთა მოხსენება ტფ. მეორე საურთიერო ნდობის საზოგადოებიდან აქტივის, პასივ ს და ყოველგვარ ვალდებულებათა მიღების შესახებ. 2) 1921 წ. ხარჯთ-აღრიცხვა, 3) 5 გამგეობის, 9 საბჭოს და 5 სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

4465 1—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა.

10 დეკემბერი, 1920 წ., № 68.

სახელმწიფო საავადმყოფოსთან არსებულ თავშესაფარის გამგის ავადმყოფობისა გამო, მის მოვალეობათა დროებით ასრულება ენდობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმისმწარმოებლის თანაშემწეს ა. ი. მივოვარსკის.

17 დეკემბერი, 1920 წ., № 69.

ინიშნებიან: ბენედიქტე გერასიმეს ძე ლორია და სერგო ანტონის ძე ბახტაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწეებად პირველი მათგანი ამა წლის 1 ნოემბრიდან, ხოლო უკანასკნელი 15 დეკემბრიდან.

მინისტრის ამხ. ჯიჯინაძე.

—

იუსტიციის მინისტრისა.

22 დეკემბერი, 1920 წ., № 446.

აღმოირიცხოს: მოსამსახურეთა სიიდან გარდაცვალებისა გამო ბაშკიჩეთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ირაკლი ბარათაშვილი ა. წ. ნოემბრის 10-დან.

იუსტიციის მინისტრი ო. არსენიძე.

—

გზა-კეცილების და წყლით სავალ გზების სამმართველოს უფროსისა.

14 დეკემბერი, 1920 წ., № 401.

§ 1

დაშვებულ იქმნას: სამმართველოს საანგარიშო განყოფილებაში კანტორის მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად მარიამ არჯევანიძეს ასული ა. წ. 2 დეკემბრიდან.

§ 2.

დანიშნულ იქმნას: კანტორის მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად სამმართველოს ტექნიკურ განყოფილებაში ონიფანტე კაკუბერი ა. წ. 1-ლ დეკემბრიდან.

§ 3.

დაშვებულ იქმნას: სამმართველოს მორიგე მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად კანტორის მოხელის ჯამაგირის დანიშვნით ლუბა ბიბილაშვილის ასული ა. წ. 2 დეკემბრიდან.

§ 4.

სამმართველოს მორიგე მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი მართა ემუხვარის ასული გადაყვანილ იქმნას კანტორის მოხელის თანამდებობის აღმასრულებლად ტექნიკურ განყოფილებაში.

15 ნოემბერი, 1920 წ., № 402.

განთავისუფლებულ იქმნას: თანამდებობიდან სამმართველოს ტექნიკურ განყოფილების კანტორის მოხელის თანამდებობის მოვალეობის აღმასრულებელი ონიფანტე კაკუბერი ა. წ. 15 დეკემბრიდან.

16 დეკემბერი, 1920 წ., № 405.

დანიშნულ იქმნას: მე-7 დისტანციის უფროსის თანაშემწის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად ინჟენერი ვლადიმერი გუსტავის ძე იუზგერი,

სამმართველოს უფროს ინჟენერი

ნ. კორიათელი.

არაოფიციალური განყოფილება.

ფრონტის დღე

დღეს ფრონტის დღეა; ეს დღე ავალებს ყველას, ღირებს, მდიდარს, დიდს თუ პატარას სამშობლოს სამსხვერპლოზე მოიტანოს თავისი წვლილი, ბევრი თუ ცოტა სულერთია, მცირედიც შეიწირების. ან როგორ უნდა დავზოგოთ ჩვენი ქონება მისთვის, რომელიც სიცოცხლეს არ ზოგავს ჩვენ დასაფარავად, დემოკრატიული სამშობლოს საკეთილდღეოთ, მის გასამარჯვებლად.

ჩვენი ყოფნა—არ ყოფნის საკითხი დამოკიდებულია ფრონტზე, ამისათვის უნდა ვიზრუნოთ მისთვის; უნდა ვეფეროთ, ულოლიავოთ მას; არ შევაცივოთ, არ მოვაშივოთ ჩვენი საუკეთესო შვილნი, რომლებიც დღეს ამ სასტიკ, ყინვიან ცივ დღეებში დღე და ღამე სდარაჯობენ ჩვენს რესპუბლიკას, რომლის კარებს მტერი მოსდგომია და ლამობს შიგ შემოჭრას.

და თუ შესძლო ულმობელმა მტერმა ჩვენს მიწა წყალზე ფეხის შემოდგმა, მაშინ იცოდეთ მორჩა, უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენს დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, ყოველივე მას რაც ჩვენთვის წმინდათა-წმინდას შეადგენს, და რისთვისაც ამოდენა სისხლი დავღვარეთ; საფრთხეში ჩავარდება ჩვენი ფიზიკური არსებობაც კი; ამას ნათლად ამტკიცებს ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა იმყოფება ჩვენი მეზობელი ერები.

მარტო დავრჩით, მარტო, მაგრამ სიმარტოვე საქართველოსათვის არ არის ახალი, ის მას ჩვეულია ისტორიულად, და მიტომ განვითარდა ქართველ ერში მებრძოლი სული და დაუძლეველი, მტკიცე ნებისყოფა, რასაც დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა უფრო გააორკეცებს და მით უზრუნველ ყოფს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

და ამ გამარჯვებაში ეჭვი ნურავის შეეპარება სანამ ჩვენი საუკეთესო შვილთ უშიშრად გამზადებული აქვთ მკერდი მტრის დასახვედრათ.

მაგრამ საჭიროა მათ იგრძნონ, რომ სულით, გულით მთელი თავის არსებით მათთან არის მტერთან ბრძოლაში მთელი ერი, რომ თვითეული მოქალაქე თანასწორად იზიარებს ფრონტის მდგომარეობას. დღეს ერთხელ კიდევ უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს მებრძოლთ, რომ ჩვენ მათთან ვართ და ისინი ჩვენთან რომ ჩვენი გზა და მიზანი ერთია და ეს საერთო მიზანია ქვეყნის თავდაცვაა, რომელსაც ყველაფერს ვწირავთ, რადგანაც მასზე უძვირფასესი სხვა არა გვაქვს რა.

ბევრ მებრძოლს შეიძლება აწუხებს ფიქრი სახლში უმწეოდ მიტოვებულ დედისა თუ ცოლშვილზე, მაგრამ ამაოდ, ჩვენ შევუშრობთ მათ ცოლშვილს ცრემლებს; სახლში დარჩენილი მისი მეზობელი მიხედავს მას ცოლშვილს. უპატრონებს, ფრონტის დამხმარე კომიტეტი მისცემს შინ დარჩენილ მებრძოლის ოჯახს სარჩო საბადებელს, არ მოაკლებს მფარველობას, ის არ აგრძნობინებს ობლობას, მაგრამ რა ქონება ექნება დამხმარე კომიტეტს თუ, შენ რესპუბლიკის შვილო, არ გაიღებ შენს წვლილს, თუ არას დღეს არას შესწირავს ფონდს.

მაშ, საჩქაროდ მოიხადე შენი ვალი!

დღეს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა მეტად მძიმეა, ამისთვის ძნელი იქნება სახელმწიფომ იკისროს სავსებით თავდაცვისათვის საჭირო ხარჯები, აუცილებლად საჭიროა საზოგადოებრივი დახმარება, ამას აქვს, როგორც რეალური, ისე მორალური მნიშვნელობა.

მაშ, დავეხმაროთ სახელმწიფოს თავდაცვის საქმეში, მივაწოდოთ ჩვენი წვლილი!

მოქალაქენო! ჩვენი ბედი ფრონტზეა დამოკიდებული.
არ დავიშუროთ მისთვის ქონება.

დამფუძნებელი კრება

24 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

პ. საყვარელიძე ათავებს თავის საბოლოო სიტყვას კონსტიტუციის შესახებ. მისი სიტყვა ცალკე იქნება მოთავსებული.

შემდეგ კრება გადადის სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაზე დეპუტატ კრილე ნინიძისათვის მილიციონერების მიერ შეურაცხყოფის მიყენების და დეპუტატის შეუვალობის დარღვევის შესახებ.

მთავრობის სახელით ამ საკითხის შესახებ განმარტებას აკეთებს იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე**, რომელიც აცხადებს, რომ არც მთავრობას მთლიანად, არც მთავრობის რომელიმე წევრს მიზნათ არ ქონია დამფუძნებელი კრების წევრის კ. ნინიძისათვის შეურაცხყოფის მიყენება. ამიტომ მთავრობა მომხდარი ფაქტის გამო გამოსთქვამს თავის ღრმა მწუხარებას და აცხადებს, რომ დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

შ. ნუცუბიძე (ს.-ფ.) აცხადებს, რომ მთავრობის განცხადება დამაკმაყოფილებელი არ არისო, ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ როგორ მოხდა ეს ინციდენტი. მთავრობამ უნდა მოგვცეს განმარტება საქმის ფაქტიური მხარის შესახებ.

ა. ჩხენკელს პირიქით, განცხადება საკითხის სავსებით ამომწურავად მიაჩნია. ის ამბობს: დეპუტატის შეუვალობის დარღვევას ადგილი ჰქონდა, მთავრობამ ეს განაცხადა და თავისი მწუხარება ამის გამო გამოსთქვა. ამასთანავე მთავრობამ ისიც სთქვა, რომ დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნიო, ამით, მე მგონია, სავსებით ამოწურულია ამ საკითხის პოლიტიკური მხარე.

ხმ. კედია (ნ.-დ.) და **ლ. შენგელია** (ს.-რ.) მთავრობისაგან მოითხოვენ დაწვრილებით განმარტებას მომხდარი ინციდენტის ფაქტიური მხარისა.

ვ. ჯუღელი. (ს. დ.) აღნიშნავს, რომ ოპოზიციას, როგორც მარცხნივ ისე მარჯვნივ აინტერესებს ინციდენტის ფაქტიური მხარე და არა დეპუტატის შეუვალობის კანონის დარღვევა. მთავრობის განცხადება ყველას აკმაყოფილებს, გარდა სკანდალების მოყვარულთა.

ს. დადიანი (ს.-ფ.) მოუწოდებს დამფუძნებელ კრებას მომავალში უფრო ფხიზლად დაიცვას დეპუტატის შეუვალობის კანონი.

კ. ნინიძე. პირადი საკითხისათვის აცხადებს, რომ ის ბინა, რომლის გარშემო მოხდა ინციდენტი, მან დაიჭირა სრულიად კანონიერად, რაც ამის შემდეგ მოხდა, ამაზე ლაპარაკი მეტად მეძნელება, მაგრამ მთავრობის პასუხი მე პოლიტიკურის მხრივ მაკმაყოფილებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა დასჯის და დაისჯებიან არა „მეისრეები“.

სიტყვა ეძლევა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს **გრ. ლორთქიფანიძეს**, რომელიც კრებას აცნობს წამოყენებულ საკითხის შესახებ აქტიურ მასალას, რომლიდანაც ირკვევა, რომ დეპუტატი ნინიძე ცდილა დაეჭირა ის ბინა, რომელიც მთავრობის განკარგულებაში ირიცხებოდა და რომელიც დანიშნული იყო ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობისათვის. მიღებულ იქნა ზომები იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ნინიძისათვის ამ ბინის დაკავებაში და აი ამ დროს მოხდა ეს სამწუხარო მოვლენა—დეპუტატის შეუვალობის დარღვევა, რისთვისაც მთავრობა აცხადებს თავის მწუხარებას და პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეებს. რაც შეეხება საქმის პირველ მხარეს: ნინიძის მიერ უკანონოთ სხვისი ბინის დაკავების ცდის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს, აი ამ ნაწილში მთავრობას თავისი მოქმედება სწორად მიაჩნია.

კ. ნინიძე. ხელმეორეთ გამოდის და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის საპასუხოთ, სულ სხვანაირად აშუქებს საქმის ფაქტიურ მხარეს. ის ამტკიცებს, რომ მან ბინა სრულიად კანონიერად დაიჭირა და არ არსებობს ისეთი კანონი, რომლის ძალით მთავრობას უფლება ჰქონდეს თავის განკარგულებაში ბინები იქონიოს.

შემდეგ **ნ. ჟორდანია** აღნიშნავს, რომ ის, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად იძულებულია ჩაერიოს ბინების მოწესრიგების საქმეში. გარდა ამისა ის აცხადებს, რომ მთავრობის განკარგულებაში ყოველთვის არის რამოდენიმე ბინა სახელმწიფოს საჭიროებისათვის. ის ბინა, რომელიც დაიჭირა დეპუტატმა ნინიძემ, ირიცხებოდა მთავრობის განკარგულებაში და ის დანიშნული იყო ერთ ერთ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობისათვის. შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე აღნიშნავს საქმის ფაქტიურ მხარეს და განმარტავს იმ გარემოებას, რომელმაც ის ინციდენტი გამოიწვია.

დასასრულ კამათში მონაწილეობას იღებენ **ბ. ჩხიკვიშვილი, ს. ჯიბლაძე, გრ. ვეშაპელი** და **მ. ხოჭოლავა**, კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ ფორმულა ს.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი.

„მოისმინა რა მთავრობის განმარტება სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაზე მილიციელთა მიერ დეპუტატის პიროვნების და ბინის შეუვალობის კანონის დარღვევის შესახებ, და მიიღო რა დამნაშავეთა კანონიერ პასუხისგებაში მიცემა, დამფუძნებელი კრებას მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებლათ მიაჩნია და გადადის მორიგ საკითხებზე“.

ყველაფერზე უძვირფასესი შენთვის დემოკრატიული სამშობლოა, რომელსაც დღეს იცავს ფრონტი, დაეხმარე მას.

მთავრობაში

მთავრობამ, მოისმინა რა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საბიუჯეტო წლის დამლევამდის დამატებით თანხის 921,373 მან. გაღების შესახებ, დაადგინა ორასი პროცენტით გაადიდოს საბიუჯეტო წლის დამლევამ-

საუბარი კარლო ჩხეიძესთან

(გაგრძელება)

დელეგაციის ეკონომიური საქმიანობა.

— გაკეთდა თუ არა რამე ევროპასთან ეკონომიური კავშირის დასაჭერად?

— მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი დელეგაციის პირდაპირი დანიშნულება პოლიტიკური საკითხის მოწესრიგება იყო, მან დიდი ყურადღება მიაქცია ეკონომიურ ფინანსიურ საკითხებსაც. დელეგაციამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ როგორმე გაბმულიყო ეკონომიური კავშირი საქართველოს და ევროპას შორის. დელეგაციას შემთხვევა ჰქონდა მიეთითებია საფრანგეთის და ინგლისის მრეწველობისათვის და ფინანსისტებისათვის იმაზე, თუ როგორ უფრო მოსახერხებელია საქართველოსა და ევროპასთან რაციონალური ეკონომიური კავშირის გაბმა.

მას შემდეგ, რაც ევროპაში ჩამოვიდა განსაკუთრებული ეკონომიური მისია კ. კანდელაკის მეთაურობით,—ამ მხრივ მუშაობა უფრო გაცხოველდა. თუ რა გაკეთდა ამ მხრივ ევროპაში,—ამის შესახებ ფინანსთა მინისტრი წარადგენს სათანადო მოხსენებას, სადაც ჯერ არს. მე მხოლოდ შემიძლია ვსთქვა, რომ მუშაობას ამ მხრივ იქ უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ანტანტა და საბჭოთა რუსეთი.

როგორია ანტანტის და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა და როგორ უყურებს ანტანტა ბოლშევიკურ მოძრაობას?

როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობთ,—ყოველთვის სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ რუსეთის საკითხში სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის არ არსებობს ერთგვარობა შეხედულების და ტაქტიკისა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ ცხოვრების მსვლელობამ და რუსეთის უკანასკნელმა ამბებმა საგრძნობლათ შეანელა ამ შეხედულებათა სხვა და სხვაობა. ყველას ახსოვს საფრანგეთის პარლამენტში პირველ მინისტრ ლეგის უკანასკნელი განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობა არ არის წინააღმდეგი, რათა კერძო პირებმა სავაჭრო ურთიერთობა დაიჭირონ საბჭოთა რუსეთთან. ვინც იცის ამ საკითხზე საფრანგეთის წინანდელი პოზიცია,—მან უნდა აღიაროს, რომ ასეთი განცხადება მეტად სიმპტომატიურია. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის მთავრობა ძალიან ცდილობს რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას. აქ საყურადღებო ის არის, რომ ამ საკითხში ინგლისის მთავრობას თანაუგრძნობს არა მარტო ინგლისის ფინანსიური წრეები, არამედ მთელი ხალხი.

ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთი, როგორც ნედლი მასალით მდიდარი ქვეყანა, აუცილებლათ საჭიროა ინგლისის ინდუსტრიისათვის ისე, როგორც საბჭოთა რუსეთს ესაჭიროება ინგლისის ინდუსტრიალური ნაწარმოები. ინგლისელები პრაქტიკულად უყურებენ ამ საკითხს და საჭიროდ არ მიაჩნიათ მოცდა იმ დრომდე, სანამ ასე თუ ისე გადაწყდებოდეს რუსეთის საკითხი: (გაერთიანება იქნება ეს თუ დაყოფის დადასტურება).

მე მგონია, ყველასათვის ცხადია ის გარემოება, რომ რუსეთის ბოლშევიკები ამ საკითხს სერიოზულად უყურებენ და ცდილობენ, რაც შეიძლება საჩქაროდ გაიბას ეკონომიურ ურთიერთობის ძაფი რუსეთსა და ინგლისს შორის. თუ რამდენათ მიზანს მიაღწევს ასეთი ცდა, ამის თქმა გადაჭრით ამ ჟამად ძნელია, მხოლოდ ერთი შეიძლება ვსთქვათ: ეს არის ერთად-ერთი გზა რუსეთის პრობლემის ისე გადასაჭრელად, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობა. რომ ეს გეგმა განხორციელდეს, რასაკვირველია, საჭიროა რუსეთის ბოლშევიკებმა განიცადონ სათანადო გარდაქმნა, ვინაიდან უცხოელი კაპიტალი დღევანდელ რუსეთში ვერც შევა და კიდევაც რომ შევიდეს, ნაყოფს მაინც ვერ გამოიღებს. ამ რიგად ბოლშევიკების წინაშე სდგას დილემა: ან დაპყრობითი პოლიტიკის წარმოების გაგრძელება, ან ევროპასთან მორიგება და შემოქმედებითი მუშაობის დაწყება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები მზად არიან ხელი მოჰკიდონ ასეთ მუშაობას, მაგრამ თუ რამდენათ შესძლებენ ისინი ამ ნიადაგზე ნაყოფის მოტანას,—ამის თქმა ძნელია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მთავრობა არ დაანებებს თავს იმის ცდას, რომ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა აღადგინოს, ვინაიდან მას სურს დაანახოს თავის ხალხს, რომ მან (მთავრობამ) ყოველივე ზომები მიიღო საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად და თუ მან ამ მიზანს ვერ მიაღწია, ამაში ყოველ შემთხვევაში მას დანაშაული არ მიუძღვის. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის ხალხს აქვს იმედი, რომ მთავრობის ცდა რუსეთთან კეთილ-მეზობლურ განწყობილების აღდგენისაკენ მიმართული სრულიად ამაოთ არ ჩაივლის. მაგრამ ინგლისის ხალხმა ისიც კარგათ იცის, თუ რამდენათ სახიფათოა ბოლშევიკების იმპერიალისტური მოძრაობა. და უეჭველია, რომ თუ მთავრობის ზემოთ აღნიშნულმა ცდამ მიზანს ვერ მიაღწია და ბოლშევიკებმა იმპერიალისტურ პოლიტიკას თავი არ დაანებეს, მაშინ ინგლისის ხალხი თავის მთავრობისაგან მოითხოვს უფრო აქტუალური პოლიტიკის წარმოებას და ენერგიული ნაბიჯების გადადგმას.

თავის თავად ცხადია, რომ ჩვენთვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება რუსეთსა და ინგლისს შორის ეკონომიურ—ფინანსიური ურთიერთობის აღდგენას, რადგან შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში სახეში იქნეს მიღებული საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ინტერესები.

წარმოება და მუშათა კლასი.

ეკონომიურად და ფინანსიურად აღორძინების საკითხი მეტად მწვავედ სდგას ევროპაში. წარმოება და მრეწველობა ომის მიერ მიყენებულ ჭრილობებისაგან ჯერ კიდევ დაავადმყოფებულია, დეპრესიას განიცდის.

დასავლეთი ევროპა ცდილობს, რაც შეიძლება, საჩქაროდ აღორძინდეს მრეწველობა, წარმოება. თუ რამდენათ ძლიერია დღეს ამის სურვილი, ეს იქიდანაც ცხადად სჩანს, რომ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტები დღესაც აუარებელ თანხას ხარჯავენ და ყიდულობენ რუსეთში მადნეულობას და ნავთის წყაროებს მათი ძველი პატრონებისაგან, თუმცა კარგად იციან, რომ ყველაფერი ეს ძველი პატრონების ხელში აღარ არის და ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას.

წარმოების დეპრესია მეტად ხელს უშლის მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუშათა კლასის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა შედარებით იმასთან, რაც ომამდე იყო, უარესია და აი სწორედ ამ გარემოებამ უკვე დაბადა საკითხი,—თუ რა გზას უნდა დაადგეს ერთის მხრით ბურჟუაზია და მეორეს მხრით—მუშა ხალხი, რომ ასეთი ეკონომიური მდგომარეობიდან გამოვიდენ. ბურჟუაზია რასაკვირველია გაცილებით უფრო ნათლად ხედავს, რომ ის ასეთი მდგომარეობიდან მხოლოდ ძველი მეთოდებით და ძველი გზით გამოსვლას ვერ შესძლებს. მაგრამ ამასთანავე ის საკმაო ხალისსა და უნარს ვერ იჩენს, რომ უფრო დროის შესაფერ გზას დაადგეს. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ინგლისის ბურჟუაზია.

ინგლისში, სადაც პირობები უფრო მომწიფებულია, ბურჟუაზია თავის პრაქტიკულ ეკონომიურ საქმიანობას ვერ აშენებს ახალ ნიადაგზე. დღითი-დღე ნათელი ხდება მუშებისათვის, რომ საჭიროა ცხოვრებაში დიდი ცვლილებების შეტანა. ამის მაგალითს ისევ ინგლისის მუშები გვაძლევენ, რომლებიც მოითხოვენ უდიდეს საწარმოო დარგების ნაციონალიზაციას. და აქ იბადება საკითხი: შეეძლება თუ არა ინგლისის მუშათა კლასი ახლო მომავალში ძალა უფლება ხელში აიღოს? მე ვამბობ, რომ ეს შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს სახელმწიფოს კატასტროფიულ მდგომარეობაში არ ჩააგდებს; საჭიროა ძალიან ახლოს და ღრმად ჩაუკვირდეს კაცი ინგლისის მუშათა მოძრაობას, რომ მიხვდეს, თუ რა დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით ეპყრობა მუშათა კლასი ძალა-უფლების აღების საკითხს. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადზე უცხადესია: თუ ეს მოხდა ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, ეს არ იქნება რუსეთის ბოლშევიზმის განხორციელება, პირიქით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეს იყო უმრავლესობის სურვილი

დის ალექსანდრეს საბავშვო თავშესაფრისათვის გადადებული თანხა.

— მოისმინა, რა მოხსენება პეტროგრადიდან ჩამოსულ ქართველთადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 მილიონიან ფონდიდან ასი ათასი მანეთი პეტროგრადიდან ჩამოსულ ქართველთა დასახმარებლათ.

— მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა მადნეულობის ნაციონალიზაციის შესახებ, დაადგინა მიიღოს მინისტრის მიერ წარმოდგენილი პროექტი განსაკუთრებულ დებულებისა აღნიშნულ საკითხის შესახებ.

— მთავრობამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის მიერ გაკეთებული მოხსენება საზღვარ გარეთ 2,000 ფუთი ნიორისა და 2,000 ვაშლის ჩირის გატანის შესახებ. ამასთანავე დაადგინეს ნება დართონ კოოპერატივ „ალიონს“ საზღვარ გარეთ 2000 ფუთ ნიორის გატანისა.

— ფრანგულ-პოლონურ სავაჭრო ამხანაგობის დირექტორის შუამდგომლობის მოსმენის შემდეგ, რომელიც საქართველოში ამხანაგობის მიერ შემოტანილ საქონლის გატანას შეეხებოდა, მთავრობამ დაადგინა ნება დართოს ბატონ ვენეფალდს საზღვარ გარეთ გაიტანოს 103 ც. ბავშვის ტანსაცმელი და 13 ქალის პალტო. ბ. ვენეფალდმა უნდა გადაიხადოს სათანადო საბაჟო გადასახადი.

— მთავრობამ, განიხილა რა ფინანსთა მინისტრის მოხსენება ჯარისათვის ფრონტზე გასაგზავნ თამბაქოზე აქციზის მოხსნის შესახებ, დაადგინა ეს თამბაქო გაანთავისუფლოს სააქციზო გადასახადისაგან, რაიცა გადახდება თავდაცვის ფონდს.

მტერი სუსტია სანამ ფრონტი ძლიერია; ფრონტის სიმაგრე კი დამოკიდებულია შენზე, მაშ გაეშურე საჭიროდ, შეხწირე ფრონტს.

გოროტ-მოქმედება თან გრძოლა.

მუშათა მაგიდა აცხადებს იმ ჯურთა მორიგ სიას, რომლებიც უკანონოთ სარგებლობენ ჰურითა და სხვა სურსათით. 1. ლიონოზოვა ეკატერინე ითვლება ქალთა მესამე გიმნაზიისა და მელიქ ბახტამიანის პროფ. შკოლაში. 2. ლუკიანოვი ნიკოლოზი მთავრობის მექანიკურ წარმოების გარაჟსა და მე-2 საავადმყოფოში. 3. შევჩენკო ეფროსინია—საბაჟოსა და ამხ „ძმობა“ ში. 4. ქარუმიძე მარიამი—მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ძირითად და დამატებით სიაში. 5. ქუთათელაძე ეკატერინე—მე7 კომისარიატსა და №1 ცხიეში- 6. ქართველიშვილი იაკობი გაზ. „საქართველოს რესპუბლიკასა“ და სახელმწიფო სტამბაში. 7. ალშიბაია გიორგი მე 7 და მე-2 კომისარიატში. 8. ჯაპანაძე ელენე ტრამვაის ძირითად და დამატებით სიაში. 9. ჭორჭაშვილი ილია—ტრამვაის ძირითად და დამატებით სიაში. 10. პალიაჩუკ ვასილი საქართველოს მუზეუმის ძირითად და დამატებით სიაში. 11. ღოღობერიძე ნინა სარგებლობს სურსათით მეოთხე მომრიგებელ სასამართლოში და ამას გარდა მიიღო ბარათი ქალაქის თვითმართველობის სასურსათო დუქნიდან ნავთის მისაღებად, ამიტომ მას მუშათა მაგიდამ პური მოუსპო.

ზემოთ აღნიშნულ პირთ წერილობა ულუფა და პასუხისგებაში მისცეს.

წარსულ სიაში აღნიშნული იყო ვაჩნაძე დავითი. დაკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ თვით ვაჩნაძე სარგებლობდა პურით მხოლოდ საყარაულო ბათალიონში, ოფიცერთა საზოგადოებაში კი მისი ულუფით სხვა სარგებლობდა. ამის გამო ვაჩნაძეს პურის ულუფა არ გაუქმებია.

ფრონტი მფარველობს შენს ცოლშვილს და ქონებას; არ დაიშურო ნაწილი შენი ქონებისა.

კომუნისტების და ქემალისტების შეთანხმება.

როგორც “Jouru des. deb“ იტყობინება ქემალისტებსა და კომუნისტებ შორის მოხდარა შეთანხმება, რომელიც შესდგება შემდეგი პუნქტებისაგან: 1) რუსეთი ოსმალეთთან ერთად უზრუნველ ყოფს გაავრცელოს ოსმალეთის ადმინისტრაციის გავლენა ოსმალთა მიერ დასახლებულ ტერიტორიაზე. 2) უზრუნველყოფს ოსმალეთის კონტროლის უფლებას არაბეთში ახლად დაარსებულ სახელმწიფოებზე. 3) ანგორის მთავრობა აადვილებს საბჭოთა დელეგატების მუშაობას ოსმალეთში კომუნიზმის განსავითარებლად. 4) როგორც რუსეთი ისე ოსმალეთი ვალდებულნი არიან განთავისუფლონ ოსმალთა მიერ დასახლებული ქვეყნები, როგორიცაა: ინდოეთი, ალჟირი, ეგვიპტე, მაროკკო და ტუნისი უცხოეთის ბატონობისაგან. 5) რუსეთი აღიარებს ოსმალთა ქვეყნების დამოკიდებულებას, რომელიც აღმოცენებულია მის ტერიტორიაზე და იცავს მათ ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას. 6) რუსეთი ვალდებულია დაეხმაროს ოსმალეთს ფინანსიურათ და ნივთიერათ. 7) რუსეთი ოსმალეთის თხოვნით ვალდებულია, თუ საჭირო იქნა გადმოსხას ორი წაარმიო კორპუსი 8) ანტანტის წინააღმდეგ მტრული მოქმედება უნდა გაგრძელდეს ორივე მთავრობის ნაციონალურ საბჭოთა სანქციების მიღებამდე.

ფრონტზე უფრო ცივა, გაუგზავნე ფრონტზე მყოფ შენს დაცვეულს ხელთათმანები, თბილი ტანისამოსი.

ახალი ამბები

ხავალდებულო განცხადებებზე ფასის გადიდება. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით ხელფასისა და ქღალდის საგრძნობლად გაძვირების გამო გაზ. „საქრესპ“-ში სავალდებულო განცხადებების (მემკვიდრეების გამოწვევა, სიგელის დამტკიცება და სხვა) ფასი გადიდებულ იქნა 600 მანეთამდე.

ანგორის მთავრობის წარმომადგენლობის განცხადება. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების სრულ უფლებიანი წარმომადგენლობა აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ მოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთს არ გამორუშვია ახალი ქღალდის ფულები. ანგორის მთავრობას არ გამოუშვია ყვითელი ქუპიურები 25 ოსმალურ გირვანქის ღირებულებისა, რომელსაც სამტრო პროპაგანდის მიზნით „ქემალისტების ბანკნოტები“ უწოდეს. ამ ბანკნოტებს არავითარი ღირებულება არა აქვს, ისინი დაბეჭდილია საზღვარ გარეთ. ოსმალეთის ბაიკმა არა ერთხელ გააფრთხილა საზოგადოება, რომ ეს ბანკნოტები არ შეეძინა. მათი გამოცნობა მეტად ადვილია, რადგანაც მათ ანის უხსში ბეჭედი და განსაკუთრებული სურათი აქვთ.

მიხედე ფრონტზე მყოფ მებრძოლს ცოლშვილს, არ მოაშივო, არ შეაცივო მის ოჯახს.

სენატი

1920 წლის, დეკემბრის 30 დღეს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაზე განხილულ იქნება შემდეგი საქმეები:

საქმ. № 77. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ვლადიმერ კუპრეიშვილისა, სამეგრელოს ოლქის მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე. ცნობილია დამნაშავედ გალახვაში.

საქ. № 79. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი სოლომონ გვასალიასი სამეგრელოს ოლ. ყრილობ ს განაჩენზე, რომლითაც იგი. ცნობილია დამნაშავედ ნანავას დაჩრაში.

საქ. № 131. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ ახმედ ხან აგაბეგოვის დამცველისა ნ. ფ. ვეჩ, ანდრონიკაშვილისა ტფილისის სამ. ოლქ. საკრ. გ ნაჩენზე, რომლითაც აგაბეგოვი ცნობილია დამნაშავედ საბაჟო წესების დარღვევაში.

საქ. № 114. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ელისაბედ წეროეთლისა შორაპნის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ ს. წ. 130 და 142 მუხ აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში.

საქ. № 96. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ სტეფანე გოლაძისა, შორაპნის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ თანახმად 134, 135 მუხ. სახ. წესდ.

მოქალაქე! მთავრობამ მილიონები გადასდო თავდაცვისათვის, ეხლა ჯერი შენია.

ხომ მოიხადე თავისუფალ სამშობლოს წინაშე შენი ვალი, ხომ შეხწირე ფრონტს?

მოქალაქენო! ჩვენი მებრძოლნი შეგნებულ ელემენტებისაგან შესდგება, მათ უაღრესად უნდათ სულიერი საზრდო: გაუგზავნეთ მათ გაზეთები, წიგნები.

ნამდვილს ზედ აწერია: ვამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინ სტრის მოვალეობის აღმასრულებელი ბ. ჯავახიშვილი.

წესდება

ჰიპოთეკის ბანკისა.

V. ანგარიში

§ 76.

ბანკის საოპერაციო წელიწადი იწყება პირველ იანვრიდან და თავდება ოცდა თერთმეტ დეკემბერს.

შენიშვნა. თუ ბანკი პირველ ივლისს შემდეგ დაარსდა, მაშინ დაარსების წელიწადი შემდეგ წელიწადს მიერიცხება.

§ 77.

წლიური ანგარიში გამგეობისა და მისი შესახები შენიშვნები საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა უნდა დაბეჭდილ იქნას, სულ ცოტა ორი კვირით ადრე, მის განსახილველად დანიშნულ საზოგადო კრების დღემდე და გამგეობაში უნდა ურიგდებოდეს აქციონერებს, რათა ვინც მოისურვებს წინდაწინვე გაიცნოს მისი ვითარება; შემდეგ კრების ოქმთან ერთად უნდა გაეგზავნოს. ოთხი ეგზემპლიარი ფინანსთა მინისტრს.

§ 78.

ბანკის ოპერაციების წლიური ანგარიშები იბეჭდება განცხადებად ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში საქართველოს რესპუბლიკისა. იმავე ორგანოში ამას გარდა, ბანკი მოვალეა ბეჭდოს ბანკის ყოველთვიური ბალანსები. ყოველ თვიური ბალანსები ხუთ ეგზემპლიარად უნდა ეგზავნებოდეს ფინანსთა სამინისტროს (საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიას).

§ 79.

წლიურ ბალანსებში არა კეთილ საიმედო ვალი უნდა აღნიშნულ იყოს დაახლოვებულ ციფრებით, ხოლო სახელმწიფო და სარგებლიან ქადალდების ფასი არა მეტი იმაზე, როგოროც ნაყიდია, და თუ საბირჟო ფასი ნაკლებია ნაყიდობაზე, მაშინ ღირებულობა ქაღალდებისა აღნიშნული უნდა იყოს საბირჟო კურსის მიხედვით.

VI. განაწილება მოგებისა.

§ 80.

ყოველი წლიური წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი სახით:

1) 10 % გადაირიცხება სათადარიგო თანხაში.

2) დანარჩენი მოგება, თუ ის არ აღემატება 10% ძირითადი თანხისას, განაწილდება დივიდენდის სახით აქციონერთა შორის.

3) თუ ეს წმინდა მოგება აღემატება 10%, მაშინ ზედმეტი განაწილდება შემდეგი სახით:

ა) 10% გადაირიცხება მოხელეთა სასარგებლოდ.

ბ) 10% „ გამგეობ ს წევრთა სასარგებლოდ.

გ) 5% „ საბჭოს წევრთა სასარგებლოთ.

დ) 25% „ სარევიზიო თანხაში.

ე) 30% „ დამატებითი დივიდენტში.

ვ) 10% „ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის სახელმწიფოებისთვის ფონდში, საბჭოს ძიხედვით.

ზ) 10% „ საპენსიო ფონდში.

§ 81.

დივიდენდის მიცემა აქციების პატრონთათვის იწყება მაშინ, როცა წინასწარი განცხადება დაიბეჭდება და აქციონერები წარადგენენ კუპონებს. თუ ათი წლის განმავლობაში ის კუპონები, რომელშიაც პატრონს დივიდენდი ერგებოდა, არ წარედგინა გამგეობას, შემდეგ იმ კუპონებით პატრონს ფული არ მიეცემა, არამედ ბანკის სასარგებლოდ ჩაირიცხება. დივიდენდის სახით ბანკის კასაში დარჩენილ ფულზე, რომელიც თავის დროზე პატრონს არ მოუთხოვნია, არა შემთხვევაში პროცენტი არ მიეცემა ფულის პატრონს.

VII. სათადარიგო თანხები.

(ჩვეულებრივი და სარეზერვო).

§ 82.

ჩვეულებრივი სათადარიგო თანხა ბანკისა,

რომლის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ გაუძლვეს ზარალს, თუ ვინიცობაა მოუვიდა ბანკს ასეთი ზარალი, შესდგება ყოველწლიურ 10%-ის გადარიცხვით წმინდა მოგებიდან (§ 80) და მის სარგებლიდან.

როცა ეს თანხა იმდენად გაიზრდება, რომ ძირითადი თანხის ერთ მესამედს გაუთანასწორდება, მაშინ გადადება მოგების წილისა სათადარიგო თანხის სამატად შეიძლება შეჩერებულ იქმნას; ხოლო თუ ეს თანხა შემდეგ ზარალის გამო შემცირდა, მაშინ § 80-ში მოხსენებულ გადადება მოგებისა კვლავ უნდა განახლდეს და ეს განახლება განგრძობილ უნდა იქმნას იმ დრომდე, ვიდრე სათადარიგო თანხა ზემოხსენებულ რაოდენობამდე მიაღწევდეს, ჩვეულებრივი თანხა უნდა ინახებოდეს სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ქაღალდებში.

§ 83.

თუ რომელსამე წელს ზარალის დასაფარავად საჭირო შეიქმნება მთელი სათადარიგო თანხის გადადება და მაგას ძირითადის ნაწილისაცა, მაშინ შემდეგ წლებში იმ დრომდე ვიდრე ძირითადი თანხა პირველ რაოდენობამდე შეივსებოდეს, ის წილი მოგებისა, რომელიც § 80 ის ძალით სათადარიგო თანხას უნდა ემატებოდეს, გადაირიცხება ბანკის ძირითად თანხაში.

§ 84.

სარევიზიო თანხა, ოანიშნული ოპერაციებისაგან წარმომდგარ შესაძლებელ ზარალის გასასტუმრებლად,—შესდგება იმ წესით, რომელიც § 80-ში მოხსენებულია. ერთი წილი ამ თანხისა შესაძლოა, აქციონერთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, გადაიდოს დივიდენდის შესავსებლად 10%-მდე იმ წლებში, როცა იგი დივიდენდი ვერ ავა ამ რაოდენობამდე.

§ 85.

ერთი მესამედი სარევიზიო თანხისა ინახება სახელმწიფო ბანკში მთავრობისა ანუ მის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიან ქაღალდებში, დანარჩენი ორი მესამედი უნდა იყოს და იხმარებოდეს აღებ-მისაცემად სწორედ ისევე, როგორც პირველდაწყებული მისი ძირითადი თანხა.

VIII. შეჩერება ბანკის მოქმედებისა.

§ 86.

ბანკის მოქმედება შეიძლება შეჩერებულ იქმნას ყოველ დროს, საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, თანახმად ამა წესდების § 70-ისა.

ხოლო თუ ისეთი ზარალი მოუვიდა ბანკს, რომ მისმა ძირითადმა თანხამ ერთი მესამედით იკლო, შეჩერება ბანკის მოქმედებისა და ლიკვიდაცია სავალდებულოა ბანკისთვის, თუ აქციონერები არ შეავსებენ ამ თანხას პირველ რაოდენობამდე, თანახმად შენიშვნისა მუხ. 118, განყოფილება X საკრედიტო წესდებისა, გამოც. 190 მ.

§ 87.

თუ ვინიცობაა ბანკის საქმეთა ლიკვიდაცია აუცილებელია, აქციონერთა საზოგადო კრება, საბჭოს წარდგენით, ნიშნავს ერთს ან რამდენსამე ადმინისტრატორს და განსაზღვრავს წესსა და რიგს ლიკვიდაციის წარმოებისას, თანახმად მუხ. 2188 ტ. X ნაწ. I კანონ. კრებ. მ. მ. 128—13 განყოფ. X საკრ. წესდ. გამოც. 1908 წლ. ადმინისტრატორების დანიშვნისთანავე ისპობა უფლებანი და მოვალეობანი გამგეობისა და საბჭოსი; ხოლო უფლებანი აქციონერთა საზოგადო კრებისა წინანდელ ძალაში რჩება ლიკვიდაციის დროს. იგი ამტკიცებს ლიკვიდაციის ანგარიშებსა და საანგარიშო კვიტანციების გაცემას.

XI. ზოგადი დადგენილებანი.

§ 88.

თუ ვინიცობაა რაიმე გაუგებრობა გამოიწვია ამ წესდების შესრულებამ, მისი გადაწყვეტა, გამგეობისა ანუ საბჭოს წარდგენით, ფინანსთა მინისტრს უნდა მიენდოს.

§ 89.

ყოველ იმ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებით ნება დართული არ არის, ბანკი ემორჩილება ზოგად კანონებს, როგორც აწინდელთა, ისე იმათ, რომელიც შემდეგ იქნება დაწესებული.

1029 1—1

განცხადებანი

რწმუნება გაცემული ალექსანდრე სოლომონის ძე ხერხეულიძის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მ ჭავარიანის მიერ რეესტრით № 13186 გაუქმებულია. 4409 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 106, მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და ზოფერობის ატესტატი № 9 ვალერიან სპირიდონის ძე დაშნიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4342 3—3

დაიკარგა სოციალური დახმარების წიგნაკი № 392 ანა როილის ასული ქვლივიძის სახელზე, მიღებული შრომის სამინისტროდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4343 3—3

დაიკარგა მოწმობა ლენის სარიდაფის შესახებ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მარქაროვის სახელზე, მიღებული საქციზო სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4347 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 172 1, მიცემული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. ზისკანტ უშერის ძე ტრაცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4352 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან ნინო ალექსანდრეს ასულის მურადოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4351 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების ნუსხა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, მეტრიკული მოწმობა და ოჯახური მდგომარეობის მოწმობა, მიღებული ქუთაისის ქალაქის გამგეობიდან, მოშე გაბრიელის ძე ბუზიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4304 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 5818 პოდპორუჩიკი ივანე გრიგოლის ძე დევითაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4339 3—3

დაიკარგა მერიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2275 აიკ პეტროსის ძე მეგავარიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4336 3—3

დაიკარგა შეღავათების ბარათი № 3516 ალექსანდრე რიკრიკაძის სახელზე, მიღებული. სანაპირო ჯარების შტაბიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

დაიკარგა პასპორტი № 236 ოლღა კონსტანტინეს ასული შერვაშიძის სახელზე, მიღებული სოხუმის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4323 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. მეხუთე სამილიციო უბნიდან და ვაჭართა და მრეწველთა პროფესიონალური კავშირიდან მიღებული წიგნაკი. იაკოფ იეუშაკის ძე ელიეზერაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4350 3—2

დაიკარგა პასპორტი მიხეილ მიხეილის ძე ქორნოს სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან, გაუქმნებულად ჩაითვალოს. 4360 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიხეილ მინასის ძე ტომასიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4348 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული (დუშეთის მაზრა) სოფ. ლეხურის თემიდან არტემ შამილის ძე ხუბაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4349 3—3

დაიკარგა პასპორტი № 2981 მოთია კალთაშოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4404 3—2

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი მიღებული ტდ. გუბერნატორის კანცელარიიდან ნინო სერგის ასულის პირუმოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4396 3—2

დაიკარგა პასპორტი ლაზარე მოსეს ძე ტერ-გრიგორიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენელისაგან ქ. ოდესაში 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4417 3—2

დაიკარგა უვადო საოჯახო პასპორტი № 186 დავით ხაჩატურის ძე დავითიანცის სახელზე, მიღებული ზაქათალაში 1911 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4399 3—2

დაიკარგა საქართველოს საზღვრებში ცხოვრების მოწმობა № 435, მიღებული განსაკუთრებული რაზმისაგან 1920 წ. ივანე ანდრიას ძე ვორონცოვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4403 3—2

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ლაშე ღვერკის საზოგ. კომისრისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 800 ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან პროკოფი ივანეს ძე კალანდაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4392 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი ლ. გ. კანის სახელზე, მიღებული ქ. ხარკოვში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4393 3—2

დაიკარგა პასპორტი № 490718, მიღებული ტფილისში პოლონეთის წარმომადგენლისაგან 1919 წ. 17 მარტს. ფრანც ტომაშის ძე ციმერმანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4395 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ღლონტის სახელზე, მიღებული ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4398 3—2

რწმუნების წერილი მიცემული ზინაიდა ბარისის ასული ივანოვის მიერ მიხეილ გიორგის ძე ბერიტაშვილისადმი განცხადებული ტფ. ნოტარიუსთან მაჭავარიანთან 1920 წ. რეესტრით № 6824-გაუქმებულია. 4397 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3956 ელისაბედი ოგანის ასული ნალბანდიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4387 3—2

დაიკარგა პასპორტი № 966/2691 ფრანც იოსების ძე ტრაპიზორის სახელზე, მიღებული პოლონეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4388 3—2

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო მოწმობა, მიღებული ახალციხის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან შაენ ბარსეგის ძე ანისონიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს 4390 3—2

დაიკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრის ნუსხა, მიღებული ქუთაისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ილარიონ გიორგის ძე ინგოროყვას სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 4391 3—2

დაიკარგა საოჯახო უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიიდან ენოქ გრიგოლის ძე აბრამიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4441 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 3061 მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 28 მარტს 1910 წ. კონსტანტინე სტეფანეს ძე იალუნინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4442 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. განჯის საპოლიციო სამმართველოდან. ნაგაპეტ ასრის ძე კაპრიელოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4438 3—1

დაიკარგა ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის სამი კლასის დამთავრების მოწმობა № 82. ქსენია არჯევანის ასულის კვერღელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4436 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 7591. მიღებული სახ ლხო გვარდიის მთავარ შტაბის მომწყობ განყოფილებიდან პეტრე მოსეს ძე ჩხიკვიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4439 3—1

დაიკარგა მე-8 უბ. რკინის გზის გადაღმა მდებარე სახლის დავთარი. რომელიც ეკუთვნის ბარბარე არტემის ასულ მურადრანოვას გაუქმებულად ჩაითვალოს. 4448 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა № 147. მიღებული ტფ. მე 7 სამილიციო უბნიდან ვაჰან ხაჩატურის ძე ზარგარ აგოიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4450 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიიდან ალი ჯაფარ აბდულ ალი ოღლი ჯაფაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4454 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის კანცელარიიდან აგარახიმ ჯაფაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4455 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ს. დ. მუშათა პარტიის და პროფესიონალურ კავშირის წევრობის წიგნაკი და სხვა საბუთები ფილიპე ლაიშხვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4462 3—1

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი მიხეილ ალ. მღებრიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. 2 უბნის მომრიგებელ მოსამართლისაგან 1905 წ. № 1306 და აღნიშნული უფროს ნოტარიუსთან 1905 წ. მაისის 2-ს № 821. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4456 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სერგო ალექსის ძე მთვარაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4457 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული სოხუმის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პასპორტი, მიღებული სოხუმის მილიციიდან აკაკი ბებითოს ძე რაფავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4460 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სხვა ანგარიშები ბილხაზ დავითის ძე ბუჟუნაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4461 3-1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და სამი თვიანი ბილეთი, მიღებული თეკლათის თემიდან პავლე ნესტორის ძე ძიძიგურის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4435 3—1

სახლების,
მამულების აგარაკების,
ყიდვა გაყიდვა

დავითის ქუჩა № 6. ბინა 2.

4468 2—1

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციო საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების 48 მუხლისა, აცხადებს, რომ 1919 წლის დივიდენდი დაურიგდება აქციონერებს ჭიათურაში საზოგადოების ბინაზე ამა წლის დეკემბრის 25 დან.

1048 2—1

კახეთის რკინის გზის საზოგადოების
გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად.

შემდეგი საგნების განსახილველად:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ. 2. 1921 წ. საექსპლოატაციო ხარჯთ-აღრიცხვის და 3. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. საზოგადო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

1046 3—

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღს. გრიგოლ მაჯავარიანი